პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 144 (9920) | შაბათი, 19 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიიდან მოსკოვს გამოემგზავრა (1-ლი გვერდი).
საინფორმაციო ცნობა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ბოლომდე გარდავქმნათ პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობა. (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის (მე-3 გვერდი).
ბაზეთების ფურცლებზე. — დადებს, ორმოცდა... მამაცობის საქმე (მე-3 გვერდი).
აბრეშუმის რჩევა-დარიგება. — ციტრუსოვანი კულტურების მყნობა...
მშრომელთა ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი. — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

შრომის დისციპლინის სიმტკიცე საწარმოო წარმატებათა საწინდარია

კომუნისტური პარტიის გენიალური ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი და მისი საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი მუდამ გვასწავლიდნენ, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობაში შრომის დისციპლინის განმტკიცება ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა და რომ უამისოდ შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების გადიდება, ძლევამოსილი ტემპით წინსვლა. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე მიმდინარე წლის 12 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ახლა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება ყველა დარგში — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. შრომის ნაყოფიერების სწრაფი აღმავლობის მისაღწევად კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას.

ორგანიზებულობა შრომაში, უაღრესი სიზუსტე ყოველი საწარმოო ოპერაციის, ყოველი საქმის შესრულებისას, სამუშაო დროის — 480 წუთის სრული ნაყოფიერებით გამოყენება, დროის ფაქტორის დაფასება და შეგნებული მტკიცე დისციპლინა — ყოველივე ეს მაღალი საწარმოო მიღწევების საფუძველია.

ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახეს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სწრაფი განვითარების უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შრომის დისციპლინის სიმტკიცე საწარმოში — ახალ წარმატებათა მოპოვების სათავეა, სწრაფი წინსვლის უტყუარი საწინდარია. თუ საწარმოში სუსტია შრომის დისციპლინა, ცხადია, იქ დაბალი იქნება შრომის ნაყოფიერებაც, მეტი იქნება მანქანადანადგარების მოცდენა, გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება, გაუარესდება მისი ხარისხი და ა. შ.

ტყვარჩელქვანახშირის ტრუსტის მეორე შახტმა წელს იანვარში სამუშაო გააცდინა 162 კაცმა, ხოლო თვითნებურად მიატოვა სამუშაო 32 კაცმა. თებერვალში სამუშაო გააცდინა 127 კაცმა, თვითნებურად წავიდა 24 კაცი. ასევე იყო მარტში და აპრილში. შრომის დისციპლინის მოშლილობამ გამოიწვია ქვანახშირის ამოღების შემცირება, შახტის სამარცხვინო ჩამორჩენა. შახტის ხელმძღვანელებმა — უფროსმა ამხ. კ. კუჭუხიძემ, საშახტო პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ბ. ლაგვილავამ და საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. მასაიაგინმა ვერ აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და ქვანახშირის მოპოვებაში ჩამორჩენის დასაფარავად საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს აერიშობანა. 29 და 30 აპრილი ამ შახტში გამოაცხადეს „გაძლიერებული მოპოვების“ დღეებად, ბუხჰალტრები და კანტორის მოსამსახურეებიც კი ჩაიყვანეს შახტში, რათა ამ დღეს უხვად ამოღებულა ქვანახშირით დანაკლისი დაეფარათ. მაგრამ შედეგი სავალალო აღმოჩნდა, იერიშის მოწყობამ ნაყოფი არ გამოიღო. პარტიის მიერ გაკიცხული ასეთი მანკიერი სტილით მუშაობა, ცხადია, კარგ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ასე როდი მოიქცნენ. პირველ კვარტალში, განსაკუთრებით იანვარსა და თებერვალში, ეს ქარხანა დიდად ჩამორჩა. აქ სწორად აუღეს ალღო საწარმოში შექმნილ მდგომარეობას, შეისწავლეს ჩამორჩენის მიზეზები, და მათთვის ცხადი გახდა, რომ შრომის დისციპლინის სისუსტე საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. სწორედ აქედან დაიწყეს ქარხანაში მუშაობის გარდაქმნა, ღონისძიებების განხორციელება შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს, თუმცა ჯერ კიდევ ქარხნის კოლექტივს სერიოზული ჩამორჩენა აქვს სოფლად მომუშავე ავტომანქანებისათვის სათადარიგო ნაწილების დამზადებაში.

ამ ორი საწარმოს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის სამტკიცეს წარმოების რაციონალურად მოწყობისათვის, საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოები აღჭურვილი არიან სავსებით თანამედროვე, მძლავრი ტექნიკით. ეს ტექნიკა გვაძლევს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, მაშასადამე, შრომის შემსუბუქების საშუალებას. ამასთან გეყვანან ტექნიკასდაუფლებული კადრები, გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ეს კადრები კარგი საყოფაცხოვრებო მომსახურებით. საჭიროა უნარიანი ხელმძღვანელობა გაეწიოთ ამ კადრებს, რაციონალურად მოვაწყოთ შრომა, ისე გარდავქმნათ წარმოების ორგანიზაცია, რომ იგი სავსებით შეესაბამებოდეს საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის დონეს. მუშების დენადობა, შრომაში უდისციპლინობა საწარმოს ხელმძღვანელობის სისუსტის, სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაობის ჩამორჩენილობის პირდაპირი შედეგია.

მარტო სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წელს ბიუჯეტს უნდა მისცენ 2.257.272 ათასი მანეთი, ანუ მთელი შემოსავლის 81,3 პროცენტი. კანონი რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მეტად პასუხსაგებ ამოცანას აკისრებს ჩვენი მრეწველობის მუშაკებს. საწარმოთა კოლექტივებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, რენტაბელობისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის როგორც თანხების ხარჯვაში, ისე ნედლეულისა და დამხმარე მასალების გამოყენებაში. ამ მხრივ საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გასაუმჯობესებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა დისციპლინის განმტკიცება.

შრომის დისციპლინის განმტკიცება უშუალოდ არის დამოკიდებული მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე, პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელების უნარზე, მათს მოქნილ, მოფიქრებულ მუშაობაზე. სწორედ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტის, სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უთანხმობის, შრომის ორგანიზაციის მოშლილობის შედეგი იყო ის, რომ თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, საჭირო გახდა ამ საწარმოს მუშაობის გასაჯანსაღებლად მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

საჭიროა იმის მტკიცედ შეგნება, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის უდიადესი პროგრამის შესრულება, საბჭოთა ადამიანების მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილება, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან წარმატებითა ეკონომიური შეჯიბრების ამოცანის შედარებით მოკლე დროში გადაწყვეტა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვს შრომის ნაყოფიერების შემდგომ განუხრელ ზრდას, მტკიცე დისციპლინას, მაღალ ორგანიზებულობას.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

ყაზანლიყის ვარდის კრეფის გეგმა შესრულებულია

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა გადამეტებით შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის კრეფის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 34 ათასი კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 37 ათასი კილოგრამი ვარდი.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა-ჩაბარების საქმეში დაწინაურდა ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა. ფშავლელებმა გეგმის გადამეტებით ერთ ტონაზე მეტი ყაზანლიყის ვარდი ჩააბარეს ნაფარეულის ეთერზეთის ქარხანას. მოწინავეა აგრეთვე ჯუღაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა გრძელდება.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი

მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის მცხოვრებმა, ცნობილმა მეაბრეშუმემ მარო გორგაძემ სანმაშუმო მოვლით მიიღო აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი — 0,5 კოლოფი აბრეშუმის თესლიდან 10 ივნისს სახელმწიფოს ჩააბარა 53 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი, საგეგმო დავალება 230,4 პროცენტით შეასრულა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული

გურრი. (საკ. კორ.). რაიონში სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით გაიმარჯვა საყავრის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე გ. საყაშვილი), რომელსაც მიეკუთვნა გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის და საქართველოს კ. პ. გორის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა.

სასოფლო საბჭოში ხორცის სავალდებულო ჩაბარების პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 250 პროცენტით, რძისა — 300 და კვერცხის ჩაბარებისა — 359 პროცენტით.

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა ივნისის 15 დღეში მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 2.154,1 ტონა ჩაის ფოთოლი. ივნისის დავალება შესრულებულია 51,9 პროცენტით, წლიური კი 32,3 პროცენტით.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობას ივნისის დავალება შესრულებული აქვს 28,9 პროცენტით, სალბაურის — 66,7, ჩაქვის — 69,1, ოჩხამურის — 68,8, ცეცხლაურის — 45,4, აჩიგვარის — 53,3, სიდის — 35,9, მოქვის — 46,2, ნატანების — 75, ლაითურის — 67,3, ნარუჯაის — 57, 6, ნასაკირალის — 50,4, წულუკიძის — 19,8, დიდი ჭყონის — 36,2, ლესიჭინის — 39,9, ინგირის — 48,1, ონარიის — 46,1, ნარაზენის — 32,4, ხეცერის — 33,1, წალენჯიხის — 57, ხიბულის — 24,7, ხოლო გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობას — 14,5 პროცენტით.

ახალი მშენებლობანი

აჯიგენი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში დამთავრდა აფთიაქის კაპიტალური შენობა. დაწყებულია ახალი სამსართულიანი აღმინისტრაციული სახლის აგება. მშენებლობაზე 1.164.000 მანეთი დიახარჯება.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა სოფელ ვარხანში ააგო აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც წელიწადში 2 მილიონ ცალ აგურსა და კრამიტს გამოუშვებს.



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი წარმოების მქსოველმა მ. რაზმაძემ თავი იახელა მაღალნაყოფიერი შრომით. მიმდინარე წლის 5 თვეში მან 6 თვის საწარმოო დავალება გაანაღდა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქსოვილის ხარისხი. სურათზე: ოსტატის თანაშემწე კ. ბუტულოვი (მარჯვნივ) ამოწმებს მ. რაზმაძის მუშაობას. ფოტო შ. გოქაძისა.

★

ქალაქი ეხმარება სოფელს

რუსთავის საწარმოთა პროდუქცია — საშეფო მგს-ებსა და კოლმეურნეობებს

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოები, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები ეხმარებიან საშეფო მტს-ებსა და კოლმეურნეობებს. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკურ და სამჭედლო-საქვაბე საამქროთა კოლექტივებმა გარდაბნისა და სამგორის მტს-ებს ვადაზე ადრე დაუმზადეს 8.000 ცალი ჭანჭიკი და ტრაქტორის 6.000 ცალი სხვადასხვა დეტალი. ქარხნის ელექტროსარემონტო საამქროს სპეციალისტები სამგორის მტს-ის მექანიზატორებს დაეხმარნენ ტრაქტორის მოტორის, ტრანსფორმატორებისა და ელექტრომოწყობილობის რემონტში.

ტექნიკური დახმარებისათვის მეტალურგები ხშირად საშეფო მტს-ების ზონის. კოლმეურნეობებშიც ჩადიან. ამას წინათ მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციამ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში მიავლინა სპეციალისტთა ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობას აბანოს მშენებლობაში ეხმარება.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სარემონტო-მექანიკურმა ქარხანამ მახარაძის მტს-ს დაუმზადა ამოსაძირკვავი მოწყობილობა, საწვავის შესანახი სათავსოს ლითონის კოშკურები, 5 ბალონი ჟანგბადი, 18.000 მანეთის ღირებულების სარემონტო იარაღები და მასალები, ტრაქტორის ძრავს გაუკეთა კაპიტალური რემონტი და სხვ.

ამავე ტრესტის ხიდამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა გარდაბნის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას დაუმზადა და გაუგზავნა დიდძალი მაგარი ინვენტარი და ხე-ტყის დახერხილი მასალა, რასაც კოლმეურნეები კლუბის მშენებლობისათვის იყენებენ.

აზოტოვანი სასუქის ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს მუშა-მოსამსახურეები შეფობას უწევენ გარდაბნის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც გაუგზავნეს საკაპანო ტრანსპორტისათვის საჭირო 15 ღერძი, 500 ჭანჭიკი, 15 კუბმეტრი ხე-ტყე მეცხოველეობის ფერმების ასაშენებლად და სხვა მასალა და მოწყობილობა.

კეთილშობილური საქმე

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ხუთ საშეფო კოლმეურნეობას. წელს მაღაროელებმა ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მისცეს 8 კუბმეტრი ბოგის გადასაპერი, 15 კუბმეტრი ნაგვერდული, 16 კუბმეტრი დახერხილი მასალა, 30 ცალი სახნისი, 3 ტონა ქვანახშირი და 150 მეტრი ბაგირი.

საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მიმდინარე წლის მარტში მაღაროელებმა თავიანთი სპეციალისტებითა და მასალით მოუწყეს სახერხი, კოლმეურნეობას მისცეს 10 კუბმეტრი ნაგვერდული და ერთი ტონა რკინა.

სოფელ მენჯიკევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ ჭიათურიდან მიიღო ბოგის გადასაპერები, ნაგვერდულები, ორი ტონა რელსი, ამდენივე რკინა. მაღაროელებმა სერიოზული დახმარება გაუწიეს სოფელ ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასაც, დიდი რაოდენობით მიაწოდეს მას ხე-ტყის მასალა, კვალსატბობის ჩარჩოები, რკინეული და სხვ. მაღაროელები კოლმეურნეობებს მუშაობელითაც ეხმარებიან. მაგალითად, სოფელ სარეკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას 30 მაისს 55 მაღაროელი ესტუმრა. მათ მონაწილეობა მიიღეს ვენახის დამუშავებაში. ასეთივე დახმარება გაუწიეთ სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი მომავალში კიდევ უკეთ დაეხმარება საშეფო კოლმეურნეობებს.

ბ. მახათაძე,
დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის შესახებ

17 ივნისს გაიმართა პირველი პლენუმი პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსი, რომელიც აირჩია სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობამ.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. ო. ასლანოვი, ს. ტ. ბაბაიანცი, ი. ვ. გოროშკინი, ი. პ. გურეევი, მ. პ. გლიანცევი, პ. დ. ეფანოვი, ტ. ვ. ერემეევი, ს. ვ. ეგურაზდოვი, მ. ვ. ილინა, ვ. ი. კრესტიანინოვი, პ. ნ. კოررობოვა, კ. ფ. მოსკალეცი, ი. ა. ნოვიკოვი, ნ. პ. ნეფედოვი, ნ. ვ. პოპოვა, ნ. ნ. აშენიცინი, ი. ი. როსოჩინსკი, ლ. ნ. სოლოვიოვი, ე. ტ. ჩერედნიჩენკო, ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. შვეჩენკო.

პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, თავმჯდომარის მოადგილედ — ამხ. ლ. ნ. სოლოვიოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად — ამხ. ი. ვ. გოროშკინი, ი. პ. გურეევი, პ. ნ. კოررობოვა, ნ. ვ. პოპოვა, ა. ი. შვეჩენკო.

პროფკავშირთა XI ყრილობის მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. ს. კუვშინოვი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კავშირგაბმულობის ჯარების მარშლის ი. ტ. პერესიპკინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ჯარების მარშალის ი. ტ. პერესიპკინის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა არმიის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ივანე ტერენტის-ძე **პერესიპკინი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 17 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ბ. ნ. ლივანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან და სასცენო მოღვაწეობის ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბორის ნიკოლოზის-ძე **ლივანოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 16 ივნისი.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის წინ

მოსკოვის მშრომელები ემზადებიან იმისათვის, რომ ფართოდ აღნიშნონ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე.

სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ქარხანა „დინამოში“, კიროვის სახელობის ქარხანაში, ქარხანა „სერპ ი მოლოტში“ და დედაქალაქის სხვა საწარმოებში გაიმართა მოხსენებანი სახელოვანი საბჭოთა შეთვრდნების შესახებ.

ამ დღეებში ბევრია ხალხი მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სახლში. ექსკურსანტები ეცნობიან მშობლიური ავიაციის ისტორიას, სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებს, საავიაციო ხელსაწყოებსა და იარაღს, საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს საავიაციო, საპლანერო, საპარაშუტო და საავიამოდელო სპორტში.

ბაუმანის სახელობის ბაღში მოეწყო არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოველ წევრთა შეხვედრა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ ა. ვ. ალელიუხინთან, რუსეთის ავიაციის უხუცეს მფრინავ ბ. ი. როსინსკისა და პლანერის სპორტის ოსტატ ვ. ვ. ვიგონოვთან.

ედანოვის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დიდი ფოტოგამოფენა. ბევრ სტენდზე ნაჩვენებია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ნამუშევარი. წრეები და აეროკლუბები ამზადებენ ათასობით სპორტსმენს — მფრინავებს, პლანერისტებს, მოტორისტებს, პარაშუტისტებსა და ავიამოდელისტებს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიიდან მოსკოვს გამოემგზავრა

პრაღა, 17 ივნისი. (საკდესი). 17 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის X ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. დ. ნაზარენკოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ე. ა. ფურცევასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის ამხ. ვ. პ. სტეპანოვის შემადგენლობით საბჭოთა კავშირში გაემგზავრა.

რუზინის აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნოვოტნიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ა. ზაპოტოცკიმ, ზ. ფირლინგერმა, ი. დოლანსკიმ, ა. ჩეპიჩკამ, ვ. კოპეცკიმ, კ. ბაკილეკმა, რ. ბარაკმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინმა.

* * *

17 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის X ყრილობაზე მოსკოვს დაბრუნდა.

რატომ ცდეგა სათიგი აგრეგატები?

მტკიცე საკვები ბაზა—საზოგადოებრივ მეცხოველეობას!

გასულ წელს გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ცუდი მუშაობის შედეგად ვერ შეასრულეს საკვების დამზადების გეგმა, რის გამო დიდძალი პირუტყვი დაეცა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ წელს რაიონში შარშანდელი შეცდომებიდან არავითარი დასკვნა არ გამოეტანათ. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ არა საკმარისი. ამას მოწმობს საკვების დამზადების ახლანდელი მაჩვენებლები. არადამაკმაყოფილებელია ბალახის თიბვის ტემპი. რაიონში თიბვას ივნისის დასაწყისიდანვე შეუდგნენ, მაგრამ ამ სამუშაოში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა როდია ჩაბმული. 15 ივნისამდე კოლმეურნეობებში 170 ჰექტარი მოთიბეს, მაშინ როცა მარტო გარდაბნის მტს-ის ზონაში გეგმით 1.371 ჰექტარი უნდა გაითიბოს. ამ მტს-ის სათიბ აგრეგატთა უმეტესი ნაწილი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. მაგალითად, სოფელ ჯანდარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჯ. პირიევი) სათიბმა აგრეგატმა, რომელსაც ტრაქტორისტი კ. სულეიმანოვი მართავს, პირველ დღეს—3 ივნისს მხოლოდ 1,5 ჰექტარი ნათესი ბალახი გათიბა. 9-დან 17 ივნისამდე კი აგრეგატს თითქმის არაფერი გაუკეთებია. სამ დღეს-სათიბი აგრეგატი ტექნიკური უწესივრობის გამო მოცდა, დანარჩენ დღეებში კი ამ მიზეზით, რომ კოლმეურნეობამ აგრეგატი არ უზრუნველყო საჭირო მუშახელით. აგრეგატს ორ კვირაში სულ 13 ჰექტარი აქვს მოთიბული. დახაზვინავ ბალახს წვიმამ მოუსწრო და საგრძნობლად დააკარგვინა ხარისხი. კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელი ბრიგადა ფორმალურად არის დაკომპლექტებული. ბრიგადის წევრთა დიდ ნაწილს მებოსტნეობასა და მეაბრეშუმეობაში იყენებენ. სოფელ გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ნათესი ბალახების ნაკვეთი მხოლოდ ამ ერთი კვირის წინათ მორწყეს, ეს სამუშაო ძაგვიანეს, წყლით გაჟღენთილ ნიადაგში სათიბმა აგრეგატმა ვერ იმუშავა, და იძულებული გახდნენ ხელით თიბვაზე გადასულიყვნენ. დღეისათვის სულ 12 ჰექტარამდეა მოთიბული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარისა. სათიბ აგრეგატებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ აგრეთვე სოფელ ახალი ულიანოვკის მალენკოვის სახელობის, სოფელ მიხაილოვკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

გარდაბნის მტს-ს არც ერთი საზვინავი მანქანა არა აქვს, მაშინ როცა მისი ზონის კოლმეურნეობებში დიდძალი თივაა დასაზვინავი. თივის შესაგროვებელიც მხოლოდ ორი აქვთ.

ბევრგან მოისუსტებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მექანიზატორებისა და კოლმეურნეების დიდი ნაწილი არ იცნობს პარტიისა და მთავრობის ახალ ღონისძიებებს, რომლებითაც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მუშაკთა წახალისება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გარდაბნის მტს-ხის აგრონომი ამხ. ა. მურადხანოვი თვითონაც არ იცნობს კოლმეურნეთა და მტს-ების მუშაკთა მატერიალური წახალისების ღონისძიებებს.

სოფელ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს გეგმით 600 ტონა საკვები აქვთ დასასილოსებელი. საკითხავია, სად აპირებენ სილოსის ჩადებას? იქნებ იმ ძველ პრიმიტიულ ორმოებში (სულ 200 ტონას იტევს), რომლებიც გარეული ბალახით არის დაფარული. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის მეტწილ კოლმეურნეობებში.

წელს გარდაბნის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს, გარდა ერთისა, უნდა აეგოთ ახ-ასი ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. მაგრამ არცერთი მათგანი ამ სამუშაოს არ შესდგომია. მტს-ს საკმაოდ აქვს მიწის ამოსაღები მანქანები, მაგრამ არ იყენებს მათ.

რაიონს არც ერთ კოლმეურნეობას არ დაუწყია ადრეული სილოსის ჩადება. ძველი, მავნე ჩვეულების მიხედვით მათ საკვების დასილოსების დაწყება კვლავ შემოდგომისთვის გადაეკვეთ. ასეთი განწყობილება თუ ამთავითვე არ აღმოიფხვრა, დასილოსების დავალების შესრულებას საფრთხე მოელის.

გარდაბნის რაიონის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი გულდამშვიდებულად აცხადებს, თივის აღებისა და საკვების დასილოსებისათვის ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვსო. სამწუხაროდ, ასეთ არასწორ პოზიციაზე დგას გარდაბნის მტს-ის დირექტორი ამხ. ო. ჩხენკელი საკვების დამზადებისადმი ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

გ. ჭელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბოლომდე გარდავქმნათ პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ამოცანა

მტს-ის პარტბიუროს მდივნის გამოცდილებიდან

ასურეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 45 კომუნისტს აერთიანებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საწარმოო საკითხებს, წარმოების ყველა უბანზე მუშაობის გაუმჯობესებას. კომუნისტების თანასნობით მტს-ში მტკიცედ დაინერგა შრომის მოწინავე ორგანიზაცია — ეგრეთწოდებული რემონტის კვანძური მეთოდი. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ საკვანძო ბრიგადებს, ბრიგადის წევრებთან მოეწყო საუბრები, განემარტა, თუ რა ევალებოდა თვითეულ მათგანს, რა მთავარი ამოცანა იდგა კოლექტივის წინაშე. ბრიგადებსა და მერემონტე მუშებს შორის გაჩაღა სოციალისტური შეჯიბრება.

პარტბიურომ გამოარკვია, რომ სარემონტო სახელოსნოში შესუსტდა შრომის დისციპლინა, საკვანძო ბრიგადის ზოგიერთი წევრი სამუშაოს აცდენდა. ეს საკითხი შევასწავლეთ და ღია პარტიულ კრებაზე განვიხილეთ. ბრიგადირმა ი. დალაქიშვილმა, მექანიკოსმა ს. გოგელიძემ, ბრიგადირის თანაშემწემ გ. ჯავახიშვილმა კრებაზე საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს. ამ წინადადებათა განხორციელებამ ხელი შეუწყო სარემონტო სამუშაოთა გაძლიერებას. მტს-მა იარაღ-მანქანების რემონტი ვადაზე ადრე დაამთავრა. წარმატებით შესრულდა აგრეთვე კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი. მუშაობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. მიკირტუმაშვილის, ა. დალაქიშვილის ბრიგადებმა, ხარატმა შ. შარაბიძემ და სხვებმა.

პარტიული ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს და ხშირად განიხილავს მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობას. მინდვრად სატრაქტორო ბრიგადებში აგიტატორები მართავენ საუბრებს, უშვებენ საველე გაზეთებს. პარტიულმა ორგანიზაციამ გამოავლინა, რომ მერვე სატრაქტორო ბრიგადაში ხშირად ფუჭდებოდა და ცდებოდა ტრაქტორები. ხვნა-თესვის გეგმა რომ არ ჩაშლილიყო, ამ ბრიგადას მიეშველნენ პირველი და მეორე ბრიგადების ტრაქტორისტები. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სასწრაფო ზომების მიღებისა და ტრაქტორისტთა ურთიერთდახმარების საფუძველზე საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 127 პროცენტით შესრულდა, მათ შორის ხვნის გეგმა—300 პროცენტით, ხოლო თესვისა—100 პროცენტით. კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 333 ჰექტარი სიმინდი და მზესუმზირა, ხოლო დაირგო 94 ჰექტარი კარტოფილი.

სერიოზული ყურადღება ექცევა მტს-ის საწარმოო საქმიანობაში მაღალი სამრეწველო კულტურის დანერგვას. ამ საქმის ინიციატორია მტს-ის მთავარი ინჟინერი, გამოცდილი სპეციალისტი კომუნისტი დ. დარჯანია. მისი თაოსნობით სარემონტო სახელოსნოში დაიწყეს მცირე მექანიზაციის განხორციელება, ტრაქტორის ძველი სათადარიგო ნაწილების აღდგენა და გამოყენება.

პარტიული ორგანიზაცია თავის ორგანიზატორულ მუშაობას განამტკიცებს მექანიზატორებსა და სპეციალისტებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებსა და სარემონტო სახელოსნოში 11 აგიტატორი მუშაობს. აგიტატორთა დასახმარებლად სისტემატურად იმართება სემინარები, კონსულტაციები. აგიტატორები ვ. მამასახლისი, ი. კენკებაშვილი და სხვები საუბრებს კონკრეტულად, ცოცხლად, საინტერესოდ აწყობენ. კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების იდეურ-პოლიტიკური დონისა და საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმართება საუბრები, ლექცია-მოხსენებები. წელს მტს-ში 8 ლექცია მოეწყო. ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი „მექანიზატორის ხმა“, რომელშიც ქვეყნდება კრიტიკული შენიშვნები და წერილები მექანიზატორებისა და სპეციალისტების მუშაობის გამოცდილებიდან.

ამჟამად მტს-ის საქმიანობაში ყველაზე მთავარია მოსავლის აღებისათვის მზადება. პარტიულმა ორგანიზაციამ შეადგინა მოსავლის აღების პერიოდისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გეგმა. ამ დღეებში მოვაწყობთ კომბაინერებისა და სხვა მექანიზატორების თათბირს, გავაცნობთ მათ ახალ ამოცანებს და გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

კ. წულუკიძე,
ასურეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

კომუნისტების მაღალი აქტივობა

ვინც კი თვალს გადაავლებს სოფელ კოდის საკოლმეურნეო მინდვრებს, მწვანედ მობიბინე პურის ყანებს, ბზესუმზირას, სიმინდის, კარტოფილის ნათესებს, ნაკოფდასხმულ ვენახსა და ხეხილის ბაღებს, უეჭველად ერთით მოიხსენიებს აქაურ კოლმეურნეთა დაუცხრომელ მარჯვენას. ამ წარმატების მოპოვებაში თავისი წვლილი აქვს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას. იგი სათავეში უდგას კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას.

საწარმოდგომო კულტურები კოლმეურნეობას 1.400 ჰექტარზე უთესია. გაშლილია მზადება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. 28 მაისს ეს საკითხი განხილულ იქნა პარტიულ კრებაზე. კომუნისტებთან ერთად ალაჯყენით გამოვიდნენ უპარტიო კოლმეურნეები გ. კანდიაშვილი, ნ. ბაჯიაშვილი და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა ამთავითვე გავითვალისწინოთ ყოველი წვრილმანი, დროულად გავასუფთაოთ და შევაკეთოთ საწყობები, ბუნკერები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, შეამოწმოთ სასწორები.

კრების მეორე დღესვე შეიქმნა სპეციალური ბრიგადა ინვენტარის და მოწყობილობის შესაკეთებლად, მოზიდულ იქნა ბუნკერების რემონტისათვის საჭირო ხის მასალა. მაღალხარისხოვნად შეკეთდა კოლმეურნეობის საწყობები, რომლებსაც დეზინფექციაც გაუკეთდა. სამი ავტომანქანა მზად არის ახალი ხორბლის გადასაზიდად, შეკეთებულია 18 ურმი. მთავრდება ტრიერებისა და სანიავებელი მანქანების რემონტი, აგრეთვე კალოების მომზადება. მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების მიზნით მოვაწყეთ აგიტატორთა თათბირი.

პარტბიურომ კომუნისტები მიზანშეწონილად გაანაწილა საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე. ამავე დროს განუხრელად ზრუნავს მათი ავანგარდული როლის, საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის.

კ. მიკირტუმაშვილი,
სოფელ კოდის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

ახლა, როცა გაჩაღებულია ბრძოლა სოფლის შეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიის რაიკომებს, მათი ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე თვითეული მტს-ის ზონაში შეიქმნა პარტიულ მუშაკთა ჯგუფი რაიკომის მდივნის მეთაურობით. რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნის მიზანია ბოლო მოეღოს გაუპიროვნებას სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, პარტიული ხელმძღვანელობა მიუახლოვდეს საკოლმეურნეო წარმოებას.

ფაქტები მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პარტიის ბევრმა სასოფლო რაიკომმა ახლებურად დაიწყო მუშაობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე. პარტიის რაიკომები და პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მეტ ყურადღებას აქცევენ ადამიანებთან მუშაობას, კადრების შერჩევასა და აღზრდას. ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

მაგრამ ზოგან პარტიის სასოფლო რაიკომების გარდაქმნა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. რაიონული კომიტეტის ზოგიერთი მუშაკი იმის ნაცვლად, რომ მთელი ძალლონე მოახმაროს მასებში ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას, დიდ დროს ანდომებს სასხდომო ფუსფუსს, არასაჭირო ცნობების შეგროვებას, ანგარიშებისა და მოხსენებითი ბარათების შედგენას. პარტიის რაიკომების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით ინტრუქტორები ჯერ კიდევ იშვიათად არიან ხალმე კოლმეურნეობებში.

ქვემოთ „კომუნისტი“ აქვეყნებს მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ ახორციელებენ თეთრი წყაროს რაიონის პარტიული ორგანიზაციები მუშაობის ახლებურად გარდაქმნას, როგორ აუმჯობესებენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს. ამასთან ერთად ეს მასალები ცხადყოფს, რომ რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს, რომ პარტორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელება.

პარტიული მუშაობა მტს-ების ზონებში

მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ხარობს თეთრი წყაროს რაიონში. აქ მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, კარტოფილი, მზესუმზირა, გაშენებულია ვენახები და ხეხილის ბაღები. უხვი და ნოყიერი საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისათვის. რელიეფის სხვადასხვაობა ერთმანეთისაგან დიდად განასხვავებს რაიონში შემავალ სოფლებს. როცა რაიონის დაბალ ზონაში მარცვლეული კულტურები თავთავს იკეთებს, ხოლო სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის კულტივაცია მთავრდება, მაშინ მაღალმთიან ზონაში იწყება სიმინდის თესვა, კარტოფილის რგვა და ჯეჯილის მარგვლა. ყოველივე ეს თავისებურს ხდის პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობას სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

რაიონის მშრომელები — კოლმეურნეები და მექანიზატორები თავდადებით მუშაობენ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის. წინა წლებთან შედარებით წელს მათ გაცილებით უფრო კარგად, აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულეს საგაზაფხულო სამუშაოები, გადაჭარბებით გაანაღდეს ხვნისა და თესვის გეგმები. აამაღლეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დონე, გააუმჯობესეს ტრაქტორების, სათესი მანქანებისა და კულტივატორების გამოყენება.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა ახალი ამოცანების შესაბამისად მუშაობის გარდასაქმნელად და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. რაიონის სამივე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ზონაში შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები რაიკომის მდივნების მეთაურობით.

მთავარია ცოცხალი მუშაობა ადამიანებთან

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ასურეთის მტს-ის ზონაში მუშაობას შეუდგა იანვარში. რაიკომის მდივანმა შ. ბურდულმა და ინსტრუქტორებმა მ. გურგენიძემ და პ. წულუკიძემ საქმიანი მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. ისინი კრებამდე 2-3 დღით ადრე მიდიოდნენ კოლმეურნეობებში, ეცნობოდნენ მეურნეობას, საუბრებს მართავდნენ კოლმეურნეებთან საზოგადოებრივი მეურნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, ამ საკითხს აყენებდნენ პარტიული ორგანიზაციის წინაშე. ყოველივე ეს დაეხმარა მათ მალე შეესწავლათ კოლმეურნეობათა მდგომარეობა, მათი ეკონომიკა, უფრო ახლოს გასცნობოდნენ კოლმეურნეობათა თავჯდომარეებს, ბრიგადირებს, ფერმის გამგეებს, შეეცვალათ უვარგისი მუშაკები, განემტკიცებინათ კოლმეურნეობანი ხელმძღვანელი კადრებით.

ინსტრუქტორთა ჯგუფი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ცუდი სამეურნეო მდგომარეობა სწორედ იმ კოლმეურნეობებშია, სადაც ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ასე იყო, მაგალითად, სოფელ ფარცხისის კოლმეურნეობაში. აქ იმვიათად იმართებოდა პარტიული კრება, ყურადღება არ ექცეოდა დადგენილების შესრულებას. ჩაშლილი იყო საგაბტაციო მუშაობა, ზოგიერთი კომუნისტი და მისი ოჯახის წევრები თავს არიდებდნენ კოლმეურნეობაში მუშაობას. ფარცხისის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია და საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვს, მაგრამ წლების განმავლობაში გამოუყენებელი იყო ეს შესაძლებლობანი, არ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები, ირღვეოდა შრომის დისციპლინა, დაბალი იყო მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

რაიკომის მდივნის შ. ბურდულის დავალებით ინსტრუქტორი მ. გურგენიძე ჩაუჯდა საქმეს ამ კოლმეურნეობაში და მას მანამდე არ მოშორებია, ვიდრე პარტიული ორგანიზაციის და მთელი კოლმეურნეობის საქმიანობა არ გარდაქმნა. მან პარტორგანიზაციის მდივანს ა. ახსიაშვილს, კომუნისტებს, საკოლმეურნეო აქტივს ასწავლა არა მარტო ის, თუ რა უნდა გაკეთდეს, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გაკეთდეს. საქმე ადგილიდან დაიძრა და კოლმეურნეობაში მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ინსტრუქტორი მ. გურგენიძე უყურადღებოდ არ ტოვებს საკოლმეურნეო ცხოვრების არც ერთ უბანს. ამავე კოლმეურნეობაში ცალკეული კოლმეურნეები, მათ შორის გამგეობის წევრებიც, ამბობდნენ, მთაგორიანი ადგილმდებარეობის გამო კოლმეურნეობაში შეუძლებელია მექანიზაციის გამოყენებაო. ინსტრუქტორმა შეისწავლა კოლმეურნეობის მთელი სათესი ფართობი. აღმოჩნდა, რომ აქ შესაძლებელია მექანიზებულად დამუშავდეს ბევრი ნაკვეთი. ამ ღონისძიებამ ის შედეგი გამოიღო, რომ წელს მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ იქნა 15 ჰექტარზე.

მეტი ყურადღება ჩამოჩენილ კოლმეურნეობებს

ამავე ზონაში რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობს პ. წულუკიძე. იგი მომსახურებას უწევს ასურეთის, კოდის, ბორბალოსა და ვაშლოვანის კოლმეურნეობებს. ინსტრუქტორმა მთავარი ყურადღება მიაქცია ასურეთის და კოდის მძლავრ და წამყვან კოლმეურნეობებს, სადაც ნათესები კარგად არის მოვლილი, ბეჯითად ემზადებიან მოსავლის ასაღებად. მაგრამ მან მუშაობა შეასუსტა ბორბალოსა და ვაშლოვანის ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში. ვაშლოვანის კოლმეურნეობაში სიმინდისა და მზესუმზირას ნათესების მეტი ნაწილი ბალახით არის დაფარული. დიდი ხანია მეორე გათოხნის ვადა გავიდა, მაგრამ ჯერ პირველი გათოხნა სანახევროდაც არ დამთავრებულა. სწორი, ვაკე ადგილები ორმხრივი კულტივაციის ფართო შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ამას აქ არ იყენებენ. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. ყოველდღიურად შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ გამოდის სამუშაოდ.

ვაშლოვანის კოლმეურნეობაში ასეთი სავალალო მდგომარეობა არ იქნებოდა, რაიკომის ზონის ინსტრუქტორი პ. წულუკიძე ადგილზე გულდასმით რომ ჩასჯდომოდა საქმეს, გამოეცოცხლებინა პარტიული მუშაობა, რომელიც აქ თითქმის ჩაშლილია, განემტკიცებინა პარტიული დისციპლინა, რომელიც საფუძველია კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, უფრო მეტი ევლო ბრიგადებში, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა კოლმეურნეებთან, მოესმინა მათი წინადადებანი, მხარი დაეჭირა სასარგებლო წამოწყებისათვის.

შრომის დისციპლინა დაბალია ბორბალოს კოლმეურნეობაშიც. ამბ. წულუკიძე აქაც შევლით ეცნობა კოლმეურნეობის მდგომარეობას, კმაყოფილდება ზერელე შემოწმებით და არ აწყობს ცოცხალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. 1 ივნისს მან ბორბალოს კოლმეურნეობაში ერთი საათი დაჰყო. 3 ივნისს მხოლოდ იმისათვის შეიარა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაეფრთხილებინა, ფარცხისმანგლისის გზის მშენებლობაზე ხალხი გამოიყვანეო. 5 ივნისს კვლავ მოვიდა კოლმეურნეობაში. ახლა მას ახლდა რაიკომის განყოფილების ინსტრუქტორი ა. დემეტრაშვილი, რომელმაც პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, კერძოდ პარტიული კრებების დადგენილებათა შესრულების მდგომარეობა შეამოწმა. ისინი კოლმეურნეობაში 2 საათს დარჩნენ. ეს „შემოწმება“ არაფერში არ დახმარებია პარტიულ ორგანიზაციას. იქ კვლავ დაბალ დონეზეა პარტიული მუშაობა.

ბორბალოსა და ვაშლოვანის კოლმეურნეობებში ამბ. წულუკიძე, რა თქმა უნდა, ამჩნევს ნაკლოვანებებს, ამას ამჩნევს აგრეთვე რაიკომის მდივანიც ასურეთის მტს-ის ზონაში ამბ. შ. ბურდულიც. ისინი არც რჩევა-დარიგებისა და მითითების მიცემას ივიწყებენ. ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ პარტიული მუშაკი არ შეიძლება ამით დაკმაყოფილდეს. მთავარია მოაწყო მუშაობა ადამიანებთან, დარაზმო ისინი, გამოასწორო საქმე, მოიპოვო კონკრეტული შედეგები.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ასურეთის მტს-ის ზონის ინსტრუქტორთა ჯგუფს თავის მუშაობაში მაინც უკეთესი შედეგები აქვს, ვიდრე თეთრი წყაროსა და მანგლისის მტს-ების ზონის ინსტრუქტორთა ჯგუფებს.

კვლავ ძველებურად...

თეთრი წყაროს მტს-ის ზონის ბევრ კოლმეურნეობაში ნათესების დამუშავება სავალალო მდგომარეობაშია. დაღეთხაჩინის, სამშვილდისა და სამღრეთის კოლმეურნეობებში სიმინდის, კარტოფილისა და მზესუმზირას ნათესები დაფარულია სარეველა ბალახებით. ამ კოლმეურნეობებში სიმინდი არათუ კვადრატულ-ბუდობრივად, ბევრგან მწკრივშიც კი არ დაუთესიათ. ამიტომ გამოუყენებელია კულტივატორები. დაბალია შრომის დისციპლინა. სამშვილდის კოლმეურნეობის თვითეულ ბრიგადაში ყოველდღიურად 20-25 კაცი არ გამოდის სამუშაოდ. ასეთივე მდგომარეობა დაღეთხაჩინის კოლმეურნეობაშიც, სადაც ბევრ შრომისუნარიან კოლმეურნესთან ერთად საწარმოო ბრიგადებში მუშაობას თავს არიდებენ კომუნისტებიც. ასეთები არიან, მაგალითად, კომუნისტები მ. მირზოევი, ე. ბაბანოვი, ო. მკრტჩიანი, ა. აკოფოვი. ორივე კოლმეურნეობაში ჩაშლილია პარტიული მუშაობა. პარტიულ კრებაზე, მართალია, განიხილეს შრომის დისციპლინის საკითხი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. აგიტატორები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

თეთრი წყაროს მტს-ში ვერ არის კარგი მდგომარეობა. კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი აქამდე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ამას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. მტს-ის სახელოსნოში ჩაშლილია საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორი მ. გელაშვილი შვებულებაში წავიდა, და სახელოსნოს მუშებთან საგაბტაციო მუშაობა დავიწყებას მიეცა.

უფრო ცუდი მდგომარეობაა მანგლისის მტს-ის ზონაში. აქ, მართალია, შექმნილია რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი, მაგრამ იგი მთლიანად დაკომპლექტებული ჯერ კიდევ არ არის. რაიკომის მდივანს ამხ. გ. გოცირიძეს მუშაობა უხდება მხოლოდ ერთი ინსტრუქტორით, რომელიც 8 კოლმეურნეობას ემსახურება. დანარჩენი ორი ინსტრუქტორის ადგილი ვაკანტურია. მიუხედავად ამ მდგომარეობისა, რაიკომმა ამხ. გოცირიძე მოწყვიტა თავის ძირითად საქმეს და 10 დღით მიავლინა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში თივის დამზადების სამუშაოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ასევე მოექცა რაიკომი თეთრი წყაროს მტს-ის ზონის ინსტრუქტორებს გ. ხაჩატუროვს, რომელიც რამდენიმე დღით ზედენის საზაფხულო საძოვრებზე გაგზავნა, და ნ. კუდუკოვს, რომელიც გამოიყენა ასურეთის მტს-ის ზონის კოლმეურნეობების შესამოწმებლად. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ უნარიან და ინიციატივიან ინსტრუქტორს ნ. კუდუკოვს მუშაობა ჩაეშალა მისი მომსახურების ზოგიერთ კოლმეურნეობაში, მაგალითად, აბელიანისა და ხოპისის კოლმეურნეობებში, სადაც ნათესები დაუმუშავებელია.

აღსანიშნავია, რომ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომი (პირველი მდივანი ამხ. მ. მაისურაძე) ჯერ კიდევ დიდ დროს ანდომებს თათბირებსა და სხდომებს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ივნისის პირველი კვირის განმავლობაში 2-ჯერ გაიმართა რაიკომის ბიუროს სხდომა.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა, მართალია, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე მუშაობის გარდასაქმნელად და ერთგვარად კიდევაც გაუმჯობესა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მთლიანად არ განთავისუფლებულა ხელმძღვანელობის კანცელარიული სტილისაგან. რაიონში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გაუპიროვნება კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში, ინსტრუქტორთა ჯგუფები აქამდე ვერ შეეჩვიენ ცოცხალ, კონკრეტულ, ოპერატიულ მუშაობას კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან. პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მტს-ების ზონებში პარტიული საქმიანობის გაუმჯობესება, ინსტრუქტორთა ჯგუფების როლის ამაღლება პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მ. არუშიძე, რ. დავითური,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ახალ პირობებში

მტს-ის ზონის ინსტრუქტორის წერილი

თეთრი წყაროს მტს-ის ზონის ამ ექვსივე კოლმეურნეობაში, რომლებშიც ინსტრუქტორთა ჯგუფის შემქმნის შემდეგ ვმუშაობ, წინათაც მიხდებოდა მისვლა. მაშინ, როგორც რაიონის აგრონომს, კოლმეურნეობათა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მაინტერესებდა.

ზონის ინსტრუქტორად მუშაობის პირველი დღეებიდანვე ჩემთვის მნიშვნელოვანი გახდა არ გამომრჩენოდა საკოლმეურნეო ცხოვრების არც ერთი მხარე. ჩემს წინაშე წამოიჭრა მრავალი საკითხი. პირველ რიგში შევუდექი კოლმეურნეობათა ეკონომიკის, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესწავლას. გამოირკვა, რომ ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო სოფელ ხოპისის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, თუმცა მას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობანი ჰქონდა. პარტიული ორგანიზაცია ვერ ამჩნევდა, უყურადღებოდ ტოვებდა ამ შესაძლებლობებს, ვერ წარმართავდა კოლმეურნეებს მათი გამოყენებისათვის.

პარტორგანიზაციის მდივანს ა. აფციაურს ვასწავლე, თუ როგორ შეედგინა პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა, თანაც ვურჩიე გეგმაში შეეტანა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საკითხი. შემდეგში ეს საკითხი განიხილა ღია პარტიულმა კრებამ. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობა მზად არ იყო თესვისათვის. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კრების მიერ დასახულმა ღონისძიებებმა კოლმეურნეთა ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა და თესვა წარმატებით ჩატარდა.

ასეთივე მუშაობა გავწიე წინწყაროსა და გუდარეხის ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში. ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების გავლენა საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე.

რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში მოვალეა ყოველმხრივ უწყობდეს ხელს მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატების გამოცდილების ფართოდ დანერგვას საკოლმეურნეო წარმოებაში. მე სპეციალობით აგრონომი ვარ, და ეს დიდად მეხმარება მუშაობაში. კოლმეურნეობებში წავიკითხე ლექციები კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად რგვაზე, ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადებაზე და მათ მნიშვნელობაზე მოსავლიანობის გადიდებისათვის. მაგრამ მარტო ლექციების წაკითხვით როდი ვკმაყოფილდები. ამავე დროს პრაქტიკულ ღონისძიებებს ვახორციელებ ამ მოწინავე მეთოდების გამოყენებისათვის.

მუშაობა მაშინ არის ნაყოფიერი და მეტი შედეგის მომცემი, როცა ის წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილია. მართალია, მე არ ვადგენ მუშაობის თვიურ ან დეკადურ გეგმას, მაგრამ ყოველდღიურად ვინიშნავ უბის წიგნაკში ისეთ აუცილებელ და სასწრაფოდ მოსაგვარებელ საკითხებს, რომლებიც მუშაობის პროცესში წამოიჭრებიან, მათი ადგილზევე გადაწყვეტა კი შეუძლებელია. საღამოთი სახლში გადავთვალიერებ ამ ჩანაწერებს და მათგან შევარჩევ ისეთებს, რომლებიც აუცილებლად მეორე დღეს უნდა მოგვარდეს. ეს ფაქტიურად ჩემი დღიური სამუშაო გეგმაა.

აქამდე სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. კომკავშირული მუშაობის გაძლიერება საგრძნობლად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებას. ნაკლად მომაჩნია ისიც, რომ აქამდე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე უფრო მეტ ყურადღებას სამეურნეო საკითხებს ვაქცევდი. ვეცდები ეს ნაკლოვანებანი სწრაფად გამოვასწორო.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პარტიის რაიკომი ზონის ინსტრუქტორებს ნაკლებ დახმარებას გვიწევს. ჩვენ არ გვეწევა ცოცხალ, კვალიფიციური ინსტრუქტაჟი, არ იმართება სემინარები, არ ეწყობა ინსტრუქტორთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება და ურთიერთგაზიარება. რაიკომის განყოფილებების მუშაკები იშვიათად მოდიან კოლმეურნეობებში, ხოლო როცა მოდიან, არა დახმარებისათვის, არამედ შემოწმებისათვის. რაიკომის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება მეტად საჭიროა ზონის ინსტრუქტორებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, რომლებიც პირველად ასრულებენ ამ მოვალეობას და ჯერ კიდევ არა აქვთ პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება.

ნ. კუდუკოვი.
საქართველოს კ. პ. თეთრი წყაროს რაიკომის ინსტრუქტორი თეთრი წყაროს მტს-ის ზონაში.

„ვინ არის ჩვენთან აგიტატორად?“

ორბეთის სასოფლო საბჭოს წინ სამი კაცი ბაასობდა. ერთი მათგანი საბჭოს თავმჯდომარე შ. ტატიშვილი იყო, მეორე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბურდული, ხოლო მესამე — აგრონომი ა. ბარაბაძე.

— წუხელ რაიკომის მდივანმა ამხ. გოცირიძემ დარეკა, — ამბობდა ერთი, — შესამოწმებლად ხალხია ჩამოსული, ხვალ დილით გამოვივლით, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი და აგიტატორები მზად იყვნენო. ალბათ საგაბტაციო მუშაობას ამოწმებენ. რა ვქნათ ახლა? აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ი. ბექაური თეთრ წყაროს წასულა. აგიტატორებად კი ჩვენთან ჩამოსული მასწავლებლები მუშაობენ, სკოლაში გამოცდები დაამთავრეს და თავიან რაიონებში წავიდნენ. ელოდე მათ სექტემბრამდე! ნეტავი პარტორგანიზაციის მდივანი ზ. წიკლაური მაინც იყოს აქ.

— აგიტატორები სულაც არ მახსოვს, არც ვიცი, ვინ არის ჩვენთან აგიტატორად. მე ბრიგადების მდგომარეობა მაწუხებს, — თქვა აგრონომმა, — ჯეჯილს სარეველა მორევია, მარგვლა გვიანდება. სამუშაოზე კი ბევრი შრომისუნარიანი კოლმეურნე არ გამოდის.

— წელს მანგლისის მტს-მაც გაგვიცრუა იმედი, — დასძინა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — მანქანები ვერ მოგვცა, რომ მწკრივად და კვადრატულ-ბუდობრივად დაგვეთესა ყანები. ჩვენი გამწვევი ძალით რას გავხდებოდით, ასურეთის მტს-ის ტრაქტორისტები რომ არ დაგვხმარებოდნენ ხვნა-თესვაში. აი, კოდასა და ასურეთში ყველაფერს მანქანებით აკეთებენ, მანქანებით ხნავენ, თესავენ, თოხნიან... როდის იქნება ჩვენთანაც ასე?!

მ. ივანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთების ფურცლებზე

დიდების, გმირობისა და მამაცობის საქმე

შრომა ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდებისა და სახელის საქმედ.

ყოველივე ის, რაც ჩვენში ადამიანს ემსახურება, — ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული გიგანტური ფაბრიკა-ქარხნები, მსხვილი ელექტროსადგურები, აყვავებული საკოლმეურნეო მინდვრები და პლანტაციები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, კლუბები, პარკები, სამკითხველოები — შექმნა ბედნიერი საბჭოთა ადამიანის მტკიცე მარჯვენამ, დაუღალავმა და გმირულმა შრომამ.

თავისუფალი შრომის ადამიანთა მოწინავე რიგებში მუდამ იყო და არის ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც შმობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეუქმნეს სწავლის, შრომისა და დასვენების ყველა პირობა. ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიისა და მთავრობის მამობრივ ზრუნვას უპასუხებს თავდადებული შრომითა და ბეჯითი სწავლით.

თავისუფალი შრომის სიდიადეზე, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლების, გმირჯე და ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდების სანმეუშო ინიციატივაზე, მათს თავდადებულ შრომასა და მუყაოთ სწავლაზე, მოგვითხრობს საქმის ცოდნით და სიყვარულით შერჩეული მასალები, რომელსაც 17 ივნისის ნომრის სამი გვერდი დაუთმო რესპუბლიკის ახალგაზრდულმა გაზეთმა **„ახალგაზრდა კომუნისტმა“.**

მკაფიო ფაქტებითა და მაგალითებით გაზეთი მოგვითხრობს, რომ ჩვენს დიად ქვეყანაში ყველა პროფესია სასახელო და საპატიოა, რომ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილს სრული შესაძლებლობა აქვთ თავიანთი მომზადების, მისწრაფების მიხედვით აირჩიონ პროფესია. საშუალო სკოლა ჩვენს ახალგაზრდობას აძლევს ცოდნას, რაც აუცილებელია შემოქმედებითს შრომაში ჩაბმისათვის, ცხოვრებაში აქტიურად შესვლისათვის. ქალაქად თუ სოფლად საბჭოთა ახალგაზრდობა ბავშვობიდანვე ეჩვევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეს, იმუშავებს შრომის ჩვევებს. და განა ცოტაა ჩვენში ისეთი ახალგაზრდა, რომელმაც ბავშვობაშივე სახელი გაითქვა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ნათელა ჩელებაძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, როცა ჩაის პლანტაციაში პატრიოსანი, თავდადებული შრომით სახელი გაითქვა და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიიღო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნათელამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ახლა იგი მესამე კურსზეა, ცდილობს წარმატებით დაამთავროს ინსტიტუტი, დაებრუნდეს მშობლიურ კოლმეურნეობას, თავის პლანტაციას. — მცოდნე უფრო გამოვადგები სამშობლოს, ჩემს ხალხს, გავზრდი სახალხო დოვლათს, — ამბობენ აცხადებს გაზეთში მოთავსებულ თავის წერილში წარჩინებული კურეფავი.

და განა ჩელებაძის მაგალითი ერთეული. საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, საწარმოებში და მშენებლობებზე თავდადებით შრომობს ათობით და ათასობით ახალგაზრდა, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მხარში ამოუდგნენ უფროსებს. — საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, — მოგვითხრობს თავის წერილში ოქუმელი ჩაის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი იმენა ბულისკერია — ბევრნი, მათ შორის მშობლებიც, მირჩევდნენ უმაღლეს სასწავლებელში შევსულიყავი. მაგრამ მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი სოფელში დავრჩენილიყავი და მთელი გატაცებით ჩავბმულიყავი საკოლმეურნეო ცხოვრებაში. ჩაის ნაკვეთის საუკეთესო მოვლით, მუყაითი შრომით ი. ბულისკერიამ პირველ წელსვე მაღალ შრომითს წარმატებებს მიაღწია, ხოლო 1950 წელს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის თავის მშობლებთან ერთად სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. — კმაყოფილი ვარ, რომ სოფელში დავრჩი, არჩევანი გამიმართლდა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა საქმე, ყველა პროფესია ძვირფასი და საპატიოა — მთავარია გიყვარდეს იგი! თუ სიყვარულით ეკიდები საქმეს, წარმატებაც გექნება... გაგებული მაქვს, რომ ზოგ საშუალო სკოლადამთავრებულს ეთაკილება კოლმეურნეობაში მუშობა. გაოცებისა და აღშფოთების მეტი არაფერი შემიძლია გამოვთქვა მათი საქციელის გამო, — წერს ი. ბულისკერია.

აი ერთი მაგალითიც:

დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა ვ. ნემანიშვილმა, მის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა პროფესიის არჩევის საკითხი. მას იტაცებდა ტექნიკური მეცნიერება, წარმოებაში მუშაობა, მაგრამ ზოგადი წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა საწარმოში. ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა ჯერ ქარხანაში დაეწყო მუშობა, კარგად გასცნობოდა წარმოებას, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, ან მუშობასთან ერთად დაუსწრებლად მიეღო უმაღლესი განათლება. ასეც მოიქცა და ახლა თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშა ვ. ნემანიშვილი ფლობს უკვე ოთხ სპეციალობას, თან დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში.

„ახალგაზრდა კომუნისტში“ მოთავსებული მასალები მოუწოდებენ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მიბაძონ ასობით და ათასობით კომკავშირელსა და ახალგაზრდას, რომლებმაც შრომის ფრონტზე დიდება მოიხვეჭეს, იშრომონ, ისწავლონ და იცხოვრონ სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მგზნებარედ გაისმის „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებიდან მომწოდებელი ხმა:

„მეგობარო! შენ ამთავრებ საშუალო სასწავლებელს, გახსოვდეს — ყველა პროფესია ჩვენთან საპატიოა; მიაშურე შრომის ფრონტს, პრაქტიკულად გამოიყენე მიღებული ცოდნა, დაიუფლე არჩეულ პროფესიას, მაღალნაყოფიერი შრომით აშენე კომუნიზმი, ამისათვის არ უნდა დაიშურო შენი მკვირცხლი გონება, ტემპერამენტი, აღფრთოვანება. შენ მიგელიან ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. აქ შენ ყოველმხრივ შეგიწყობენ ხელს ისწავლო კურსებზე, უმაღლეს სასწავლებელში, შეგიძლია დაეუფლო წარმოების რთულ პროფესიებს, გახდე ინჟინერი, ტექნიკოსი, უხვი მოსავლის ოსტატი, რაციონალიზატორი, და საყოველთაო სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურო“.



მწვანე კონცხი. საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმის ხედი.

მშრომელთა ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის

ზღვის დონიდან 1.100 მეტრ სიმაღლეზე

ჯავა. (საკ. კორ.). კურორტი ჯავა განთქმულია თავისი სამკურნალო ტუტე-ნახშირკაწყა მარილიანი წყლით — „ძაე-სუარით“. კურორტი ზღვის დონიდან 1.100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ჯავაში საკურორტოდ ჩამოდიან მშრომელები ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებიდან. ჯავის მინერალური წყალი საუკეთესო შედეგებს იძლევა კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის ქრონიკული ანთებით, ნაღვლის ბუშტის სიმსივნით, დაბეტის მსუბუქი ფორმებით, ქრონიკული ბრონქიტებით, ანემიების (სისხლნაკლებობა), ბრონქიალური ჯირკვლებისა და სხვა დაავადებათა მკურნალობისას.

წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ჩამოსულ ადამიანთა ნორმალური მკურნალობისა და დასვენებისათვის.

ზაფხულზე სეზონისათვის მზადება ადრევე დაიწყო. რემონტი გაუკეთდა პირველ და მეორე სპეციალიზებულ სანატორიუმს, ვაფართოვდა ფიზიოკაბინეტი, ჰიგიენისა და საპროცედურო ოთახები, დადგა ჰიგიენური შხაპები, ადრევე იქნა რეკონსტრუირებული მინერალური წყლით სამკურნალო აპარატები. უკეთ მოეწყო ფიზკულტურის დარბაზი, სასპორტო მოედანი. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს კურორტში მისასვლელი გზების კეთილმოსაწყობად. შეკეთდა წყალსადენი და კანალიზაცია.

სამკურნალოდ ჩამოსულთ მომსახურებას გაუწევენ მედიცინის საუკეთესო სპეციალისტები, გაცილებით უკეთ მოეწყობა დამსვენებელთა კვება.

კურორტ ჯავაში შექმნილია ყველა პირობა ადამიანთა ნორმალური მკურნალობისა და დასვენებისათვის.

ი. თედიაშვილი.

კურორტის კეთილმოწყობა

აბასთუმანი. (საკ. კორ.). აბასთუმანი დახურული, მუდმივმოქმედი კურორტია. აქ ჩვენი სამშობლოს ყოველა კუთხიდან მთელი წლის განმავლობაში ჩამოდიან დამსვენებლები.

წელს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება კურორტის კეთილმოსაწყობად. პირველ სანატორიუმში ვდამდე დამთავრდა სარემონტო სამუშაოები, რაზეც 86.000 მანეთი დაიხარჯა. მიმდინარეობს ქუჩების მოასფალტება, ბაბნოს კეთილმოწყობა, წყლის არხების დაბეტონება, ქუჩების გამწვანება და სკვერების ბოწყობა. კურორტის ტერიტორიაზე, ქუჩების პირას დარგულია ათეულ ათასობით ძირი მცენარე. 10.000 კვადრატულ მეტრ ქუჩის ფართობზე დაგებულია ასფალტი.

დღემდე კურორტ ელექტროდენის დიდ ნაკლებობას განიცდის. წელს საკავშირო მთავრობამ ელექტროგაყვანილობისათვის 3,5 მილიონი მანეთი გამოჰყო. დაწყებულია დაბა ვალედან აბასთუმნამდე მაღალი ძაბვის ელექტროხაზის გაყვანა. ამით ელექტროენერგიის ძალა დიდდება 750 კილოვატ საათით, რაც საკმაოდ დააკმაყოფილებს კურორტის მოთხოვნილობას ელექტროენერგიაზე.

სანატორიუმებმა მიიღო დიდძალი კულტსაქონელი — რადიორეპროდუქტორები, მატეფონები და სხვ.

პირველი ივლისიდან აბასთუმანში იმუშავებს საქართველოს ფილარმონიის საესტრადო ორკესტრი.

ავტომობილმშენებლები კურორტებზე მიემგზავრებიან

ქუთაისი. (საკ. კორ.). დადგა ზაფხული, და მკვეთრად გაიზარდა შვებულებაში წასვლელთა რიცხვი. საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა პირველი ჯგუფი, 50 კაცი, უკვე გაემგზავრა ევპატორიაში, გაგრაში, ბორჯომში, მახინჯაურში და ჩვენი ქვეყნის სხვა კურორტებზე.

ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი გ. ყორეოლიანი შვებულებას ატარებს ბორჯომში, ლითონკონსტრუქციის საამქროს ოსტატი ნ. ლიგვინენკო — გაგრაში, შასის საამქროს მტვიფრავი ი. ღამბაშიძე — მენჯაში, სარემონტო-სამსხმელო საამქროს მეღუმელე მ. ხრომოვა — წყალტუბოში და ა. შ.

ავტომობილმშენებლებმა უკეთესად უნდა იმუშაონ

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა

უკანასკნელ თვეებში მკვეთრად გააუმჯობესა მუშაობა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. მთავარი კონვეიერიდან განუწყვეტლივ ჩადმოდის ახალთახალი თვითსაცლელი ავტომანქანები.

ქარხნის მუშაობაში გარდატეხა მარტში დაიწყო. მარტის გეგმა ავტომობილმშენებლებმა 106 პროცენტით შეასრულეს, აპრილისა — 108,5 პროცენტით და ამავე ორ თვეში პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 4,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 4,3 პროცენტით. ამავე დროს მათ აპრილში გასწიეს 200.000 მანეთის ეკონომია და საწარმოო გეგმა შეასრულეს ყველა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

ქარხნის საწარმოო პროგრამა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გადიდებული. მაგალითად, წელს ქარხანამ უნდა მოგვცეს 35 პროცენტით მეტი ავტომანქანები, ვიდრე შარშან მოგვცა.

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა მიზნად დაისახეს მეოთხე კვარტალიდან დაიწყონ კაბინის ათვისება და დამზადება. საამისოდ უნდა მოეწყოს კაბინების საამქრო, სადაც მოხდება კაბინის ნაწილების დატვიფრვით დამზადება და მათი აწყობა. საგრძნობლად უნდა გაიზარდოს აგრეთვე სამჭედლო ორპუსის და რუხი თუჯის საამქროების სიმძლავრე.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციას არსად ისეთი დიდი ეფექტი არ მოაქვს, როგორც საავტომობილო წარმოებაში. მექანიზაციის დანერგვამ, რასაც დიდი შრომის გაწევა დასჭირდა, ქარხნის კოლექტივს საგრძნობლად გაუადვილა საწარმოო დავალებათა შესრულება. ძრავის საამქროში მოაწყეს თბილისში დამზადებული 400-მეტრიანი ჯაჭვური კონვეიერი, გამართეს პნევმატიკური ამწე, რომლის საშუალებით ხდება მუხლალილვების გადაზიდვა; ძრავას საამქროში მოაწყეს ტექნიკური ზეთის საწმენდი მძლავრი, ცენტრალიზებული დანადგარი, სადაც ძრავას გამოცდის შემდეგ ხდება გადამუშავებული ზეთის რეგენერაცია (აღდგენა). ამით ქარხანა ათობით ტონა ზეთის ეკონომიას აღწევს. რუხი თუჯის საამქროში მუშაობს გორკის საავტომობილო ქარხნიდან მიღებული საყალიბო მანქანა, რომელმაც დიდად გაუმჯობესა თუჯის სხმულის ხარისხი. ქარხანაში მუშაობს ათობით ხიდური და რელსური ამწე, ავტოკარი, ავტომტვირთავი და ავტომსვლელი. ამჟამად ქარხანაში შრომატევად სამუშაოთა მეტი ნაწილი მექანიზებულია.

მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნების კოლექტივები დიდ დახმარებას უწევენ ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს. გორკისა და მოსკოვის საავტომობილო გიგანტებში რუს ავტომობილმშენებელთა დახმარებით დაოსტატდნენ გამოჩენილი სტახანოველები ამწყობი-ზეინკლები — ბ. ჭაბაკიძე, ა. კოჩიშვილი, ხარატი ა. აგაპოვი და სხვები. მიმდინარე წლის ბოლომდე ამ ქარხნებში ათასზე მეტ სპეციალისტს მოამზადებენ. ასი კაცი უკვე გაიგზავნა მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ქარხნისათვის კადრებს ამზადებენ აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი და ავტომექანიკური ტექნიკუმი, სადაც 800-ზე მეტი კაცი ეუფლება ავტომობილმშენებლობის ტექნიკას. ასობით მუშა სწავლობს სახელოსნო სასწავლებელში და ინდივიდუალური სწავლების გზით.

ქარხნის მთავარი საკონსტრუქტორო განყოფილების მუშაკები, რომლებსაც სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კიბგერი ხელმძღვანელობს, საექსპერიმენტო საამქროს კოლექტივთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან თვითსაცლელი ავტომობილების გამარტივებისა და გაუმჯობესებისათვის. მათ წარმატებით განახორციელეს თვითსაცლელი ავტომობილის რეკონსტრუქცია. ამ თვითსაცლელის მექანიზმში ლიკვიდირებულია კარდანული ლილვი, ხოლო ორცილინდრიანი ამწე შეცვლილია ერთცილინდრიანი ტელესკოპური ამწეთი. კონსტრუქტორებმა ახლებურად დაამზადეს ამ მანქანის ძარაც. მისი შველერები შეცვლილია დატვიფრული ბრტყელი ლითონის ფირფიტებისაგან დამზადებული ჩარჩოებით, რაც თვითეულ ძარაზე 100 კილოგრამი ლითონის ეკონომიას იძლევა. აღნიშნული მანქანა უფრო გამძლე და მოსახერხებელია მომსახურებისათვის.

ქუთაისელ მეავტომობილეებს წელს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ დადიდებული პროგრამის განსახორციელებლად. მთავარი, რამაც შეიძლება შეაფერხოს მთელი კოლექტივის წინსვლა, არის საიარაღო საამქროს ცუდი მუშაობა. მაგალითად, მას შასის საამქროსათვის ჯერ კიდევ აპრილში უნდა გადაეცა მანქანის წინა ღერძის დასამზადებელი იარაღები, მაგრამ ეს მაისის ბოლოსთვისაც არ გაუკეთებია. ამავე საამქროში 15-დან 25 მაისამდე მოცდა კონუსური კბილანების დამამზადებელი ხაზი, რაც მკვლელი იარაღების მიუწოდებლობამ გამოიწვია. 24 მაისს ამ მიზეზით ასევე მოცდა სიჩქარის კოლოფის საამქროს ის უბანი, რომელიც ბორბლის გამოშვებაზე მუშაობს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქარხნის ტექნიკური მომარაგების განყოფილების მუშაობაც, რაც აგრეთვე ხელს უშლის მთელ კოლექტივს.

არის ბევრი სხვა გარემოება, რაც აფერხებს ქარხნის შემდგომ მაღალნაყოფიერ მუშაობას. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება აჭიანურებს ზოგიერთი უბნის სარემონტო სამუშაოებს, არის რაციონალიზატორული წინადადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები და ა. შ.

ქარხნის ხელმძღვანელობა კვლავაც იჩენს შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას სათადარიგო ნაწილების გამოშვებაში იმ ავტომანქანებისათვის, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაზიდად.

ბ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მექანიზაციის გზით საწარმოს სიმძლავრის გადიდება

თბილისის ზეთსახდელი ქარხანა როგორც შარშან, ისე წელს წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, მიუხედავად იმისა, რომ წელს ქარხნის კოლექტივს დიდად გაუდიდდა გეგმა — დაეკისრა 800 ტონით მეტი მცენარეული ზეთის გამოშვება. წელს ოთხი თვის საწარმოო გეგმა ქარხნის კოლექტივმა შეასრულა ნატურალური პროდუქციის გამოშვების მიხედვით 107,3 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის მიხედვით — 107,1 პროცენტით. ამავე დროს შრომას ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო დავალება შესრულებულია 108,9 პროცენტით, თვითღირებულება იმავე ოთხ თვეში შემცირებულია 1,2 პროცენტით და მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება 190.000 მანეთის რაოდენობით.

როდესაც მიმდინარე წლისათვის გადიდებულ გეგმას გვომტკიცებდნენ, ჩვენ იმთავითვე ვივარაუდეთ, რომ ქარხნის იმდროინდელი სიმძლავრის ვითარებაში ასეთი გეგმის შესრულება გაგვიჭირდებოდა, და დავიწყეთ მუშაობა ტექნოლოგიურ დანადგართა სიმძლავრეების გადიდებისათვის ადგილობრივი რეზერვების გამოსანახავად. ზეთსახდელი დანადგარების რეკონსტრუქციასთან ერთად შევუდექით შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობები გადაგვშალა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ფრონტზე. დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესების მექანიზაცია არც თუ დიდ თანხას მოითხოვდა და ეფექტს კი დიდს გვაძლევდა.

ტექნოლოგიურ დანადგართა რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესების, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად ქარხნის სიმძლავრე ორახევარჯერ გაიზარდა.

საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას დიდად გვიადვილებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება პროფესიების მიხედვით, აგრეთვე შეჯიბრება სხვა საწარმოების კოლექტივებთან. ქარხნის კოლექტივის თვითეულ წევრს თავისი პირადი ღირსების საქმედ მიაჩნია სხვა საწარმოთა კოლექტივებთან შეჯიბრებაში გამარჯვება. თბილისელი ზეთისმხდელები ეჯიბრებიან ერევნის ზეთსახდელი კომბინატის და თბილისის საპნის ქარხნის კოლექტივებს. ამ შეჯიბრებაში თბილისელმა ზეთისმხდელებმა უკვე მოიპოვეს მნიშვნელოვანი გამარჯვება — ნახევარი წლის საწარმოო დავალება უკვე გადაჭარბებით შეასრულეს და ამჟამად პროდუქციას იძლევიან შემდგომი თვის ანგარიშში.

ს. ფალავანდიშვილი,
თბილისის ზეთსახდელი ქარხნის დირექტორი.

კოლხიდელი მექანიზატორების მაჩვენებლები

კოლხიდის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის კოლექტივმა, რომელიც თავიდანვე დიდი ხალისით ჩაება შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის მოსკოვს და მისი ოლქის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, უკვე მოიპოვა პირველი მნიშვნელოვანი წარმატებები. წელს პირველ კვარტალში სადგურის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით შეასრულა 88.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 41, 6 პროცენტით, სამუშაოთა თვითღირებულება შეამცირა 4 პროცენტით და ამის შედეგად სახელმწიფოს 27.000 მანეთი ეკონომია მისცა.

მიწისმწოვი დანადგარის მეათე ბრიგადამ, რომელსაც ა. კუზნეცოვი მეთაურობს, მიმდინარე წელს მიწის სამუშაოები მთელი მოცულობით შეასრულა 20 აპრილისათვის და ამჟამად მუშაობს წლიური გეგმის გადამეტებით.

მექანიზატორების შრომის ნაყოფიერების გადიდება უმთავრესად მექანიზმების გამართულობისა და სრული დატვირთვით მუშაობის შედეგია. მთავარი ყურადღება აქ ექცევა იმას, რომ მექანიზმის, მანქანის ტექნიკური გამართულობა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყოს.

კოლხიდის სამანქანო საექსკავატორო სადგურის მუშაკთა კოლექტივს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში თავიდანვე უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. დამუშავებულ იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც საჭიროდ იქნა მიჩნეული იმისათვის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდას არ შეშლოდა ხელი. ამ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად გაძლიერდა აღმზრდელობითი მუშაობა, მოეწყო ჯგუფური სწავლება, ლექციების გამართვა და ა. შ.

ყოველივე ამან გამოიწვია მექანიზატორთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება მინდობილი ტექნიკის სრული წარმადობით გამოყენებისათვის, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა.

ბ. ხოშტარია,
კოლხიდის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში.

აგრონომის რჩევა-დარიგება

ციტრუსოვანი კულტურების მუნობა ვარჯში

ციტრუსოვანი კულტურები, როგორც თბილ ქვეყნების მცენარეები, ხარობენ ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში. მათ მკაცრი ყინვები დიდ ზიანს აყენებს. ყინვებისაგან განსაკუთრებით ხშირად და უფრო ძლიერ ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები ზიანდება. მანდარინი მეტი ყინვაგამძლეობა ახასიათებს. წინათ პლანტაციების გაშენებისას საკმაო ყურადღება არ ექცეოდა სარგავი და სანამყენე მასალის წარმოშობასა და ჯიშებს. ამითაც აიხსნება, რომ, მიუხედავად მაღალი მოსავლიანობისა, როდესაც მოწინავე მეციტრუსეებმა და მეურნეობებმა მიაღწიეს, რესპუბლიკაში ნაყოფის საშუალო მოსავლიანობა ერთი ხიდან, განსაკუთრებით ლიმონისა და ფორთოხლისა, ჯერ-ჯერობით ძალიან მცირეა.

მიზანშეწონილი არ არის, როცა ლიმონებისათვის ვარგისი შედარებით თბილი ნაკვეთები მანდარინის ნარგავებს უკავია. ამ მდგომარეობის გამოსწორების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მანდარინის ვარჯში ლიმონის ან ფორთოხლის მყნობა; იგი საშუალებას იძლევა თბილ ნაკვეთებზე მანდარინთან ერთად მივიღოთ ლიმონისა და ფორთოხლის უფრო ძვირფასი ნაყოფი, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მანდარინის პლანტაცია გაშენებულია ლიმონისათვის ნაკლებად თბილ ნაკვეთებზე, ვარჯში მყნობით მოკლე ვადაში შეიძლება მივიღოთ ლიმონის დამტკიცებითი მოსავალი.

მანდარინის ვარჯში დამყნობილი ლიმონი და ფორთოხალი გადიდებულ ყინვაგამძლეობას იჩენენ. მაგალითად, 1948 წლის დეკემბერში გულრიფშის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ილიჩში“ ყინვებმა 7 გრადუსამდე მიაღწია და ლიმონებს 1-2-წლიანი ტოტები დაუზიანა, ხოლო მათ გვერდით მანდარინის ვარჯში დამყნობილი ლიმონები სრულიად დაუზიანებელი დარჩნენ. ვარჯში ნამყენი ლიმონები და ფორთოხლები მაღალი ხარისხით განირჩეოდნ. ფორთოხლის ნაყოფი უფრო ტკბილი, მსხვილი და ჩვეულებრივთან შედარებით ადრე მწიფდება. ამასთანავე შემჩნეულია, რომ მანდარინის ვარჯში ნამყენი ლიმონები ავადმყოფობა მალსეკოს წინააღმდეგ გადიდებულ გამძლეობას ამჟღავნებენ.

ვარჯში მყნობისათვის უნდა შეირჩეს კარგად განვითარებული ჯანსაღი, მოზარდი მანდარინის ხეები, ხოლო ნაკლები ზრდის მქონე ხნიერ ხეებზე მყნობამდე ერთი წლით ადრე საჭიროა გადასამყნობი ტოტების გასხვლა, რაც გამოიწვევს ახალი ნაზარდების წარმოშობას. გასხვლისთვის უნდა შეეარჩიოთ 2-3 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ტოტები ვარჯის ცენტრალურ ნაწილში. უფრო მსხვილი ტოტების გასხვლა სასურველ შედეგს არ იძლევა.

გასხვლა საჭიროა ადრე გაზაფხულზე — მარტში. გასხვლის შედეგად წარმოშობილი ჭრილებ ბალის მალამო უნდა წაესვაროს. გასხლულ ტოტებზე ჩნდება რამდენიმე ყლორტი, რომელთაგან ვტოვებთ უფრო განვითარებულ ერთ ტოტს. ივლის-აგვისტოში ეს ტოტი მომზადებული იქნება საზაფხულო მყნობისათვის. ძლიერი ნაზარდების მისაღებად დასამყნობი მანდარინის ნარგავებში ადრე გაზაფხულზე ნიადაგის გადაბარვისას შეგვაქვს ორგანული და მინერალური სასუქების სრული ნორმა.

ვარჯში მყნობა უმჯობესია გაწარმოოთ კვირტით 1-3 წლის ხნოვანების 8-12 მილიმეტრის სიმსხოს ტოტებზე. უფრო ხნიერ და მსხვილ ტოტებზე მყნობა ცუდ გახარებას იძლევა. მანდარინის ვარჯში მყნობისათვის კვირტები უნდა ავიღოთ ლიმონის ან ფორთოხლის საუკეთესო ჯიშებიდან, რომლებსაც უხვი მსხმოიარობა და კარგი ხარისხის ნაყოფი ახასიათებს.

მანდარინის ვარჯში კვირტით მყნობა ხდება ორ ვადაში: მაის-ივნისში და აგვისტოში. მაის-ივნისის მყნობა უმჯობესია იმ მომენტში, როდესაც დასამყნობ ხეებს დაეწყებათ წვენის სრული მოძრაობა, რასაც ჩვეულებრივ ყვავილობისას ვხედებთ. აგვისტოში მყნობა მიმდინარეობს მეორე ვეგეტაციის დროს.

გადასამყნობი ტოტები უნდა ავარჩიოთ ცენტრალური ტოტების ახლოს, რადგან ტოტის წვერზე მყნობისას დამყნობილი ტოტი ადვილად იღუნება ან გამოშვერილად იზრდება, რაც სასურველი არ არის.

კვირტით მყნობა წარმოებს იმავე წესით, როგორც სანერგეებში ტრიფოლიატის მყნობის დროს. ეომსხო ტოტებზე დამყნობისას კვირტს ვიღებთ ოდნავ მეტი მერქნის მიყოლებთან. ასეთი სამუშაო არ ხორციელდება სანერგეში კვირტით მყნობისას. ნარგავის ასაკის მიხედვით თვითეულ ხეზე სხვადასხვა რაოდენობით კეთდება ნამყენი. 3-5-წლიან ხეებზე საკმარისია გადავანყნოთ ერთი ტოტი ვარჯის ცენტრში, უფრო დიდ ასაკის ხეებზე 3-5 ტოტი. მყნობისთანავე ნამყენს უნდა შემოვახვიოთ რაფია. ათი დღის შემდეგ ხდება ბახარებულ ნამყენებზე მაგრად შემოკვერილი რაფიის შემსუბუქება. ამით თავიდან ავიცილებთ მის შეზრდას ტოტის კანში. თუ ნამყენმა არ გაიხარა, მაშინ ტარდება განმეორებითი გამომყნობა. როდესაც კვირტი კარგად შეეზრდება, ტოტი, . რომელიც დაიმყნო გაზაფხულზე, აუცილებელია გადაიჭრას ცერზე მყნობის ადგილიდან 3-4 სანტიმეტრის სიმაღლეზე, ხოლო აგვისტოს ნამყენზე ასევთ გადაჭრას ვახდენთ შემდეგ წლის მარტში მცენარის ვეგეტაციის დაწყებამდე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ცერზე გადაუჭრელ ტოტებზე დამყნობილი კვირტიდან ყლორტი არ განვითარდება. მიზანშეწონილია მოვაცილოთ ნამყენების კვერდით განვითარებული ყველა სხვა ტოტი. ნამყენების საკმაოდ გაზრდის შემდეგ ცერი უნდა მივაჭრათ. ცერის ჭრა ხდება შემდეგი წლის მარტში ან აპრილში.

უკეთ განვითარებისათვის ნამყენებს მყნობის ადგილს ქვევით უნდა შემოვაცალოთ ყველა ახლად განვითარებული ყლორტი, ხოლო როცა ნამყენი 30-35 სანტიმეტრის სიგრძეს მიაღწევს, მას უკეთდება წვერის პინცირება (წაკვეცა) ორი სამი ფოთლის მოცილებით. ეს იწვევს ყლორტების უკეთ განტოტვას და ხელს უწყობს მცენარის ყინვაგამძლეობის გაძლიერებას.

ნამყენის სიმაღლე ვარჯში 1,5-2 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, რასაც ვიღწევთ სისტემატიური გასხვლით. მანდარინზე, რომლის ვარჯში ვახდენთ ლიმონის ან ფორთოხლის მყნობას, აუცილებელია დაეტოვოთ მისი ძირითადი ტოტები იმ ვარაუდით, რომ მცენარემ მოგვცეს ორივე კულტურის ნაყოფი: ვარჯის ზემო ნაწილში — ლიმონი ან ფორთოხალი, ხოლო ქვედა ტოტებზე — მანდარინი.

ვარჯში მყნობა საგრძნობლად გაზრდის ლიმონისა და ფორთოხლის მოსავლიანობას, ამამაღლებს პროდუქციის ხარისხს. ციტრუსოვანთა ვარჯში მყნობის ეს წესი ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ დანერგვის ღირსია.

აგრონომი ი. ლეკვეიშვილი.

ახლად ათვისებულ მიწაზე

ყვარელი. (საკ. კორ.). გრემის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობა პატარაა, მაგრამ მიღწევები დიდი აქვს. აქ მოსავლიანობას ყოველწლიურად ადიდებენ.

გრემელებმა წელს 18 ჰექტარი ახალი მიწა ათვისეს, დიდძალი ხე და ბუჩქი ამოძირკვეს, ნიადაგი ქვა-ღორღისაგან გაწმინდეს. ამ საქმეში თავი ისახელეს ი. ფარნაოზისა და ქ. ჩაბრაშვილის ბრიგადებმა. კოლმეურნეებმა ახლად ათვისებული მიწის 11 ჰექტარზე სიმინდი დათესეს, 7 ჰექტარი კი საზამთროს დაუთმეს.

გაეაქტიურეთ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი

პეკინი, 16 ივნისი. (საკდესი). გუშინ ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის ტექსტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი შედგება „შესავალისა“ და ოთხი თავისაგან: „ზოგადი დებულებანი“, „სახელმწიფო წყობილება“, „მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი“, „სახელმწიფო ალამი, სახელმწიფო გერბი, დედაქალაქი“.

როგორც აღნიშნულია კონსტიტუციის პროექტის „შესავალში“ კონსტიტუციას საფუძვლად უდევს ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს 1949 წლის საერთო პროგრამა. ამასთან ერთად იგი ამ პროგრამის შემდგომი განვითარებაა. ეს კონსტიტუცია განამტკიცებს ჩინეთში სახალხო რევოლუციის შედეგებს, ახალ გამარჯვებებს პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში ჩინეთის სახელმწიფოს მშენებლობის დაწყების დროიდან, აგრეთვე ასახავს სახელმწიფოს ძირეულ მოთხოვნებს გარდამავალ პერიოდში და ხალხის ფართო მასების საერთო მისწრაფებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისადმი.

ჩვენმა ქვეყანამ, ნათქვამია შემდეგ „შესავალში“, უკვე დაამყარა ურღვევი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან. დღითიდღე იზრდება და ვითარდება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ხალხის მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან. ეს მეგობრობა კვლავ განვითარდება და განმტკიცდება. ჩვენმა ქვეყანამ უკვე მოიპოვა წარმატებანი სხვა ქვეყნებთან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ ინტერესების, ტერიტორიისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების პოლიტიკის დარგში. ეს პოლიტიკა კვლავაც თანმიმდევრულად განხორციელდება. საერთაშორისო საქმეებში ჩვენი ქვეყნის მტკიცე და ურყევი კურსია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის პროგრესის მაღალი მიზნების სამსახური.

კონსტიტუციის პროექტის I თავის — „ზოგადი დებულებანი“ — I მუხლში ნათქვამია: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და რომელიც დამყარებულია მუშებისა და გლეხების კავშირზე“.

როგორც აღნიშნულია მე-2 მუხლში, „მთელი ძალაუფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ეკუთვნის ხალხს. სახალხო ხელისუფლების ორგანოებია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებები. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება და ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებები, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ახორციელებენ დემოკრატიული ცენტრალიზმის სისტემას“.

„ზოგად დებულებათა“ მესამე მუხლში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოა. ყველა ეროვნება თანასწორუფლებიანია. ყველა რაიონში, სადაც ეროვნული უმცირესობანი მჭიდროდ მოსახლეობენ, ხორციელდება რაიონული ავტონომია. ყველა რაიონი, რომლებშიც ეროვნული ავტონომია ხორციელდება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია.

მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ძალებს, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტურ გარდაქმნათა გზით უზრუნველყოფს ექსპლოატაციის სისტემის თანდათანობით მოსპობას და სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ „ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის წარმოების საშუალებათა საკუთრების შემდეგი ფორმები: სახელმწიფო, ესე იგი საყოველთაო-სახალხო საკუთრება, კოოპერაციული საკუთრება, ერთპიროვნულ მშრომელთა საკუთრება და კაპიტალისტთა საკუთრება“.

„მეურნეობის სახელმწიფო სექტორი, — ნათქვამია მე-6 მუხლში, — არის სოციალისტური სექტორი საყოველთაო-სახალხო საკუთრებით. სახელმწიფო სექტორი არის ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელი ძალა და სახელმწიფოს მიერ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების მატერიალური საფუძველი. სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის უპირატეს განვითარებას...“

მე-16 მუხლში აღნიშნულია, რომ „შრომა არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის ღირსების საქმე. სახელმწიფო ახალისებს მოქალაქეთა აქტივობასა და შემოქმედებას შრომაში“.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იცავს სახალხო დემოკრატიის წყობილებას, უშიშროებას, მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ახშობს ყოველგვარ გამცემლურ და კონტრრევოლუციურ საქმიანობას, სჯის ყველა გამცემსა და კონტრრევოლუციონერს“.

მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ხალხს ეკუთვნის; მათი ამოცანაა სახალხო რევოლუციისა და სახელმწიფო მშენებლობის მონაპოვართა დაცვა, სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა“.

II თავის — „სახელმწიფო წყობილება“ — 21-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება“. 22-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთადერთი ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო ძალაუფლებას ახორციელებს“.

30-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივად მოქმედი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი, რომელსაც კრება ირჩევს.

39-ე მუხლში ნათქვამია, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება ირჩევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ოთხი წლის ვადით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 35 წლის და აქვს უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნას.

როგორც 42-ე მუხლშია აღნიშნული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მეთაურობს მთელი ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს და არის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

43-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე, თუ საჭირო იქნა, იწვევს უმაღლეს სახელმწიფო თათბირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილეებს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის, სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და სხვა სათანადო პირების შემადგენლობით.

47-ე მუხლში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო და სახელმწიფოს უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, ესე იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა.

სახელმწიფო საბჭო, აღნიშნულია 48-ე მუხლში, შედგება პრემიერის, მისი მოადგილეების, მინისტრების, სხვადასხვა კომიტეტთა თავმჯდომარეებისა და გენერალური მდივნისაგან.

III თავის — „მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი“ — 86-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ეროვნების, რასობრივი კუთვნილების, სქესის, მოსაქმეობის გვარეობის, სოციალური წარმოშობის, სარწმუნოების, განათლების დონის, ქონებრივი მდგომარეობისა და ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების ვადის მიუხედავად უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს. გამონაკლისს შეადგენენ შეშლილები და ის პირები, რომლებსაც კანონით ჩამორთმეული აქვთ უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნან. ქალები მამაკაცების თანაბრად სარგებლობენ უფლებით — არჩეულ იქნან და აირჩიონ“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს, აღნიშნულია 87-ე მუხლში, აქვთ სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირების, სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის ამ თავისუფლებათა გამოყენებას საჭირო მატერიალური სახსრების მიცემით. მომდევნო მუხლებში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სარწმუნოების თავისუფლება, ადგილსაცხოვრებლისა და მიმოსვლის თავისუფლება. კონსტიტუცია აცხადებს და უზრუნველყოფს ჩინეთის მოქალაქეთა შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში, ავადმყოფობის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში მატერიალური დახმარების უფლებას.

„სამშობლოს დაცვა, — ნათქვამია 103-ე მუხლში, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის წმიდა მოვალეობაა; სამხედრო სამსახური კანონის შესაბამისად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა“.

IV თავი აწესებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალამს — წითელი ქსოვილი, რომელზეც გამოსახულია ხუთი ვარსკვლავი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბს და აცხადებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქია პეკინი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დირექტივები

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შედგენისათვის

პრაღა, 18 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ მიიღო დირექტივები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შედგენისათვის.

დირექტივებში აღნიშნულია, რომ სოციალიზმის მშენებლობის მთავარი მიზნის მიღწევისათვის — საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის საჭიროა:

გაბედული და ქმედითი ღონისძიებების გზით უახლოეს წლებში მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითად გადიდებას;

სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის დაჩქარებული ტემპით აღმოვფხვრათ სათბობის, ენერგეტიკისა და მადნეულის ბაზის ჩამორჩენა;

გავადიდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი;

არსებითად ავამაღლოთ რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის დონე;

ჩეხოსლოვაკიის მთელ სახალხო მეურნეობაში განვამტკიცოთ მომჭირნეობის რეჟიმი.

ამ ამოცანების გადაჭრა უნდა იყოს 1955 წლის გეგმის მიზანი. მისი წარმატებით შესრულება შექმნის მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარების უზრუნველყოფის წინაპირობებს. ამავე დროს შეიქმნება იმის პირობები, რომ 1956-1960 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმა დროის მხრივაც შეუთანხმდეს სსრ კავშირის გეგმებსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გეგმებს, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა უპირატესობა და სარგებლობა, რასაც ამ ქვეყნებთან თანამშრომლობა ქმნის.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ დირექტივად დასახა სამრეწველო წარმოება 1955 წელს 1954 წელთან შედარებით გადიდდეს სულ ცოტა 9 პროცენტით, ამავე დროს გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა წარმოების და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დაახლოებით ერთნაირი ტემპი. სამრეწველო წარმოება სლოვაკიაში 10 პროცენტით გადიდდება 1954 წელთან შედარებით.

დირექტივები ითვალისწინებენ, რომ ქვანახშირის ამოღება 1954 წელთან შედარებით გადიდდეს სულ ცოტა 5 პროცენტით, ლignიტისა — 21 პროცენტით და ელექტროენერგიის წარმოება — 11 პროცენტით.

დირექტივებით გათვალისწინებულია მანქანათმშენებელი მრეწველობის წარმოების მოცულობა 1954 წელთან შედარებით გადიდდეს სულ ცოტა 10 პროცენტით, ამასთან გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ფართო მოხმარების საქონლის — მაცივრების, სარეცხი მანქანების, მოტოციკლების, მსუბუქი ავტომანქანებისა და ფოტოაპარატების წარმოება.

ქიმიური მრეწველობა პირველ რიგში განავითარებს მინერალური სასუქების წარმოებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გაადიდებს ნედლეულის წარმოებას მრეწველობისათვის. მსუბუქსა და კვების მრეწველობამ მომავალშიც უნდა გაუმჯობესონ დამზადებული საქონლის ხარისხი და გააფართოონ მისი ასორტიმენტი იმ მიზნით, რომ სულ უფრო დიდი მასშტაბით დაკმაყოფილდეს მშრომელთა მზარდი მოთხოვნილება საფეიქრო, მინის, კერამიკულ, ტყავისა და სასურსათო საქონელზე. კვების მრეწველობის წარმოების მოცულობა 1954 წელთან შედარებით სულ ცოტა 8 პროცენტით გადიდდება.

დირექტივები ითვალისწინებენ 1955 წლისათვის კაპიტალური მშენებლობის მოცულობას 1954 წლის გეგმის დონეზე, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის მოხმარების წილის გადიდება.

დირექტივებში აღნიშნულია, რომ მომავალშიც ამაღლდება მშრომელი ხალხის ცხოვრების დონე უწინარეს ყოვლისა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და მშრომელთა შემოსავლის გადიდებით და საბინაო, სასკოლო და კომუნალური მშენებლობის შემდგომი განვითარებით. დირექტივებში ნათქვამია, რომ საცალო საქონელბრუნვა 1954 წელთან შედარებით გაიზრდება 2,5 პროცენტით. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი სამრეწველო და სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად. საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად 1955 წელს მშრომელებს გადაეცემათ 48 ათასი ბინა და უზრუნველყოფილ იქნება ინდივიდუალური სახლების შემდგომი მშენებლობა.

დასასრულ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დირექტივები მთელ სახალხო მეურნეობას უსახავენ ამოცანას — სახელმწიფო, ეკონომიური, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიაპყრონ იმის, რომ სავსებით გამოიყენონ არსებული საწარმოო სიმძლავრენი, წარმოებაში დანერგონ ახალი, ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები.

დირექტივები ითვალისწინებენ საწარმოო პროცესების შემდგომ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უფრო ფართოდ გამოყენებას წარმოებაში და იმას, რომ მეცნიერები და მეცნიერ-მკვლევარი მუშაკები ფართოდ ჩაებან ჩვენი ქვეყნის ტექნიკური დონის ამაღლებასთან დაკავშირებულ ამოცანების გადაწყვეტაში.

1955 წელს შრომის ნაყოფიერება 1954 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს: მრეწველობაში სულ ცოტა 7 პროცენტით, მშენებლობაში — სულ ცოტა 8 პროცენტით.

ამ ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დირექტივები საგალდებულოდ ხდის, რომ მთლიანად გამოყენებულ იქნას ოსტატების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების მდიდარი გამოცდილება და ცოდნა, ყოველი ღონისძიებით წახალისდეს მშრომელთა ინიციატივა და ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება.

დასახულია ჩეხოსლოვაკიაში 1957 წლამდე ნათესი ფართობები გადიდდეს 200 ათასი ჰექტარით, მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის, კარტოფილისა და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. მეცხოველეობის დარგში დირექტივები ითვალისწინებენ, რომ 1957 წელს 1953 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გაიდიდეს 26 პროცენტით. უახლოეს სამ წელიწადში სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნება 320 ათასი კაცი.

ჯოუ ენ-ლაის შეხვედრა ბიდოსთან

პეკინი, 18 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ჟენევიდან იუწყება, გუშინ მოხდა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ჟენევის თათბირზე ჩინეთის დელეგაციის მეთაურის ჯოუ ენ-ლაის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და საფრანგეთის დელეგაციის მეთაურ ჟორჟ ბიდოს შეხვედრა.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის შენობაში გაიხსნა რესპუბლიკური გამოფენა „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“. სურათზე: ფოთის წიქვილკომბინატის მოჭედილი მაკეტი, რომელიც დამზადებულია ქ. ფოთის ვაჟთა I საშუალო სკოლის ტექნიკური წრის წევრების მიერ. მაკეტის ავტორები არიან გოგი ხირბილაძე, გურამ ფოტიდი, გივი კოკაია, გურამ ხოჭოლავა და ნოდარ ჩემია. გ. ხირბილაძე მოსწავლეებს აცნობს წიქვილკომბინატის მოქმედებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახვედრად

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ მიმდინარეობს მზადება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახვედრად. იკითხება ლექციები და მოხსენებები სახელოვანი საბჭოთა საჰაერო ფლოტის მიღწევების, საბჭოთა ავიაციის განვითარების შესახებ.

ამ დღეებში ლექტორმა გ. კარბელაშვილმა თბილისის რკინიგზელის სახლში წაიკითხა ლექცია თემაზე „საავიაციო ტექნიკის განვითარება“, რომელსაც მრავალი მსმენელი დაესწრო.

რესპუბლიკის კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა გამოფენები, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი. გუშინ საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი გამოფენა „საბჭოთა საჰაერო ფლოტი“. გამოფენის ორ სტენდზე ექსპონირებული მასალები ნათლად ასახავენ ჩვენი სახელოვანი ავიაციის განვითარების გზას. ყურადღებას იპყრობს განყოფილება „ე. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საჰაერო ფლოტის შესახებ“, „მიღწევები ავიაციის დარგში“. აქვე გამოფენილია საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავთა პორტრეტები.

საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი გამოფენები მოეწყო აგრეთვე თბილისის ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თბილისის შაუმიანის სახელობის საქალაქო მასობრივ ბიბლიოთეკაში და სხვ.

19 და 20 ივნისს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ეწყობა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი სეირნობა. ასეთივე სეირნობა გაიმართება 20 ივნისს თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში. ორივე პარკში მოწყობილია საბჭოთა საჰაერო ფლოტისადმი მიძღვნილი გამოფენები.

დღეს ორჯონიკიძის სახელობის პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართება საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი. კრების შემდეგ მოეწყობა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო არტისტული ძალები.

ლვოვის თეატრის გასტროლები

17 ივნისს, ლვოვის უკრაინული დრამატული თეატრის გასტროლების ოცდამესამე დღეს, რუსთაველის სახელობის თეატრში თბილისელმა მაყურებლებმა პირველად ნახეს მ. სტარიცკის კომედია „ორი კურდღლის მდევარი“, რომლის დადგმა ეკუთვნის ა. კლიპს, მხატვრობა — ი. სტეფანჩუკს, მუსიკა — ი. ვიმერს.

მთავარ როლებს ასრულებენ: უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ნ. დოცენკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტები დ. დუდარეკი, ფ. გაენკო, მსახიობები ნ. ბელოვოდსკი, ა. კუშნირენკო, მ. კოვალენკო, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ბოლინსკაია, ტ. კოლესნიკი, ა. ტიმოშენკო, ო. ნოჟკინა და სხვები.

პარალელურად თეატრმა რუსთაველის მშრომელებს უჩვენა — „ვინ იცინის უკანასკნელი“.

სპექტაკლებს წარმატება ხვდა.

მუსიკალური კომედიის თეატრში

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა 12 ივნისს მაყურებელს უჩვენა ო. გეჯაძის ახალი მუსიკალური კომედია „ორი რეკორდი“, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის კ. მახარაძეს. კომედიაში ასახულია საბჭოთა სტუდენტ სპორტსმენთა ცხოვრება და მათი მიღწევები საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე.

დადგმა განახორციელა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა არ. ჩხარტიშვილმა, მხატვრობა — მ. გოცირიძემ, დირიჟორია — კ. სირბილაძე, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი, დადგმის სპორტული კონსულტანტი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ბერძენიშვილი.

13 ივნისს ამავე სპექტაკლით დაიხური სეზონი, თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ბათუმსა, ზესტაფონში, სამტრედიაში, ქუთაისსა და ბათუმში. თეატრს საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი აქვს 9 საუკეთესო დადგმა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

ДЖОУ ЭН-ЛАЙ ПОСЕТИЛ ПЕКИН

ПЕКИН, 18 июня. (Корр. Синьхуа). Вчера в Пекин прибыл Премьер Государственного совета Китайской Народной Республики, Министр иностранных дел Китайской Народной Республики Чжоу Энь-лай.

Чжоу Энь-лай, Министр иностранных дел Вьетнамской Демократической Республики Фам Ван Донг, Министр иностранных дел Корейской Народной Республики Пак Хен Ен, Министр иностранных дел Советского Союза А. Вышинский, Министр иностранных дел Чехословацкой Республики Вацлав Давид, Министр иностранных дел Польской Республики Стефан Ренский, Министр иностранных дел Румынской Народной Республики Грегоре Моисе, Министр иностранных дел Венгерской Народной Республики Ласло Сентпетери, Министр иностранных дел Германской Демократической Республики Георгий Дертинг, Министр иностранных дел Албанской Народной Республики Неджмие Ходжа, Министр иностранных дел Монгольской Народной Республики Цэдэнбал, Министр иностранных дел Чехословацкой Республики Вацлав Давид, Министр иностранных дел Румынской Народной Республики Грегоре Моисе, Министр иностранных дел Венгерской Народной Республики Ласло Сентпетери, Министр иностранных дел Германской Демократической Республики Георгий Дертинг, Министр иностранных дел Монгольской Народной Республики Цэдэнбал, Министр иностранных дел Чехословацкой Республики Вацлав Давид, Министр иностранных дел Румынской Народной Республики Грегоре Моисе, Министр иностранных дел Венгерской Народной Республики Ласло Сентпетери, Министр иностранных дел Германской Демократической Республики Георгий Дертинг, Министр иностранных дел Монгольской Республики Цэдэнбал, Министр иностранных дел Чехословацкой Республики Вацлав Давид, Министр иностранных дел Румынской Народной Республики Грегоре Моисе, Министр иностранных дел Венгерской Народной Республики Ласло Сентпетери, Министр иностранных дел Германской Демократической Республики Георгий Дертинг, Министр иностранных дел Монгольской Народной